შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21 (9.686)

13 - 20 ივნისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ოლიმპიური ცეცხლი დედოფლისწყაროში

ოლიმპიური ცეცხლი დედოფლისწყაროში შემოვიდა... ცეცხლის კახეთში მოგზაურობა საგარეჯოდან დაიწყო, საიდანაც ესტაფეტა დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს გადასცეს.

საგარეჯოელებისგან ჩირაღდანი დედოფლისწყაროელმა მსოფლიო ჩემპიონმა **არსენ ყარაგვეზაშვილმა** ჩაიბარა. შემდეგ კი ესტაფეტა განაგრძეს: საქართველოს ნაკრების წევრმა თავისუფალ ჭიდაობაში – **აბრამ ბოდაველმა,** მსოფლიოს ჩემპიონმა სამბოში – **მიხეილ ჩოხელმა,** ევროპის ჩემპიონმა სამბოში – **მიხეილ ნარიმანიძემ**, მსოფლიოს ჩემპიონმა კიკბოქსინგში – **ვალერი ვაჭრიძემ,** და ბოლოს, ოლიმპიადის სიმბოლო, მსოფლიო ჩემპიონმა კიკბოქსინგში – **ხვიჩა ქოქუაშვილმა**, კულტურის სახლის ეზოში დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ჰიმნისა და ოვაციების ფონზე წარუდგინა. აქვე ოლიმპიური ცეცხლის დახვედრის საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელშიც ადგილობრივმა ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ანსაბლებმა მიიღეს მონაწილეობა.

„ისტორიული დღეა დედოფლისწყაროს ცხოვრებაში, ოლიმპიური ცეცხლი შემოვიდა ჩვენს ქალაქში და ასეთი რამ ხშირად არ ხდება. ვფიქრობ, თითოეულმა დედოფლისწყაროელმა გაიხარა ამ ფაქტით. მინდა ყველა ქართველ სპორტსმენს წარმატება ვუსურვო ოლიმპიურ ფესტივალზე და ვპირდებით, რომ თითოეული დედოფლისწყაროელი გულმხურვალე მხარდამჭერი იქნება, რაც დამატებითი სტიმული იქნება დიდი წარმატებებისთვის," - აღნიშნა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

არსენ ყარაგვეზაშვილი (მსოფლიო ჩემპიონი): „ნამდვილად დიდი და მნიშვნელოვანი დღეა დედოფლისწყაროსთვის. თავდაპირველად წარმატებულმა კიკბოქსინგელებმა ჩავიბარეთ ჩირაღდანი და საპატიო მისია იყო ჩვენთვის".

ხვიჩა ქოქუაშვილი (მსოფლიო ჩემპიონი): „დღევანდელი დღე ჩემთვის მართლაც განსაკუთრებული იყო და დიდი პატივია, რომ ჩირაღდანის შემოტანა მხვდა წილად. ჩემთვის ეს ნამდვილი დღესასწაული იყო და ქართველ ოლიმპიელებს წარმატებები მინდა ვუსურვო და სჯეროდეთ, რომ მთელი საქართველო მათ გვერდით დგას."

ოლიმპიური ფესტივალის წარმომადგენლები ღამით დედოფლისწყაროში დარჩნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლი ყველა ქალაქში ღამით არ რჩება. დედოფლისწყაროელებმა ესტაფეტა სიღნაღს გადასცეს. შემდეგ კი ჩირაღდანი ლაგოდეხსა და ყვარელში, იქიდან კი კახეთის სხვა ქალაქებში წაიღეს.

ოლიმპიური ჩირაღდანის ტარება თელავში კახეთის გუბერნატორსაც მოუწია. ირაკლი შიოლაშვილმა ქალაქის ცენტრში შეკრებილ მოსახლეობას ეს ისტორიული დღე მიულოცა.

„ძალიან სასიხარულოა, რომ ოლიმპიური ცეცხლი კახეთში შემოვიდა. ხედავთ, რომ მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა ჩირაღდანს და ყველა ბედნიერია... იცით, რომ კახეთის ყველა ქალაქი შემოიარა და სპორტული განწყობა მთლიან რეგიონს გადაედო. ოლიმპიური მუხტი აქვს თითოეულ მოქალაქეს და ვიმედოვნებ, რომ კახეთში ოლიმპიადის მიმართ განსაკუთრებული განწყობა იქნება მთელი ფესტივალის მიმდინარეობის დროს. 26 ივლისს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გახსნის ცერემონიალზე, დიდ კაულდრონში ცეცხლი აინთება და ფესტივალის დასრულებამდე იგიზგიზებს", – განაცხადა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა.

ოლიმპიური ცეცხლი საქართველოში 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს შემოვიდა და ორი თვის განმავლობაში 67 მუნიციპალიტეტს შემოივლის. ევროპის მე-13 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი საქართველოში, 26 ივლისიდან 2 აგვისტომდე გაიმართება და ფესტივალის განმავლობაში თბილისს 50 ქვეყნის 3800 მონაწილე ესტუმრება.ახალგაზრდული ოლიმპიადა სპორტის 9 სახეობაში გაიმართება: ძიუდო, ჩოგბურთი, ცურვა, ფრენბურთი, ველოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში, ხელბურთი, კალათბურთი და მძლეოსნობა.

ოლიმპიური ცეცხლი – ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი სიმბოლოა, მას ანთებენ თამაშების გახსნისას და დასრულებამდე ანთია. ოლიმპიური ცეცხლის ანთების ტრადიცია არსებობდა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში. ოლიმპიური ცეცხლი დაკავშირებულია ლეგენდასთან პრომეთეს შესახებ, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს ჩამოუტანა.

ტრადიცია აღდგა 1928 წელს. 1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე პირველად შედგა ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა, მასში მონაწილეობდა 3000-ზე მეტი მორბენალი. ზამთრის ოლიმპიადაზე ცეცხლი აანთეს 1936 და 1948 წელს, თუმცა ესტაფეტა პირველად ჩატარდა 1952 წელს ოსლოს ოლიმპიური თამაშების წინ. ჩვეულებრივ ოლიმპიური ცეცხლის ანთებას ანდობენ ცნობილ ადამიანებს, ძირითადად სპოტსმენებს.

ილია მარტყოფლიშვილი

ლოცვაც და ჯვარცმაც იყო სიმღერა

გვ.4

კახეთის კულტურას საფრანგეთში წარმოადგენენ

გვ.2

„ცოცხალი წიგნები" – ეს ჩვენ ვართ!

გვ.3

დედოფლისწყაროში ფეხბურთის განვითარებას გეგმავენ

გვ.6

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი – საქართველო აზერბაიჯანს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნად განიხილავს

საქართველო აზერბაიჯანს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნად და მეგობარ სახელმწიფოდ განიხილავს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან შეხვედრის კომენტირებისას განუცხადა.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, განხილვის მთავარი თემა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები იყო. "აზერბაიჯანი ჩვენთვის ძალიან ძვირფასი ქვეყანაა. ჩვენ ძალიან მჭიდრო და კონსტრუქციული თანამშრომლობა გვაკავშირებს", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს გუშინ ზაგულბას სასახლეში უმასპინძლა.

პრემიერ-მინისტრის შეხვედრის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

თინა ხიდაშელი – საქართველო არა მარტო MAP-ს, ნატოს წევრობას იმსახურებს

მე რომ მკითხოთ, საქართველო არა მარტო MAʒ-ს, ნატოს წევრობას იმსახურებს, - ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ვარშავის სამიტის მოლოდინებზე საუბრისას, "მაესტროს 9-იანში" განაცხადა.

მისივე განმარტებით, ამის მიუხედავად MAP-ი არის ის აუცილებელი საფეხური, რომელიც საქართველომ ალიანსში გაწევრიანებამდე უნდა გაიაროს.

"მე რომ მკითხოთ, საქართველო იმსახურებს წევრობას, მაგრამ ჩვენ ბუქარესტის დეკლარაციაში ცალსახად გვიწერია, რომ უნდა გავიაროთ საფეხური, რომელსაც მაპ-ი ჰქვია. ეს არის პირობა საქართველოს ნატოში გაწევრიანების, ამიტომაც, ბუნებრივია, დღეს ვსაუბრობთ მაპ-ზე, როგორც აუცილებელ და სავალდებულო პირობაზე. რაც შეეხება ვარშავის სამიტს, მე როცა ვამბობ, რომ ეს არის მოლოდინებისა და იმედების სამიტი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჩვენ ქვეყანას ვგულისხმობ, მაგრამ არა მხოლოდ - იმდენი გამოწვევის წინაშე დადგა წინა სამიტი და ვარშავამდე მსოფლიო, რომ ვფიქრობ, ვარშავის სამიტი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრინციპული და მნიშვნელოვანი იქნება. ბევრი ისეთი საკითხია ვარშავის დღის წესრიგში, რომელიც ყველაზე მაღალი საფრთხეების მატარებელია დღევანდელი მსოფლიოსთვის. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მონტერეგროს თემა, რომელსაც მაღალი ალბათობით, ალბათ, უკვე წევრობის მოწვევას გაუგზავნიან. ეს არის კარგი გზა, კარგი გზავნილი, კარგი მაგალითი იმის, როგორ შეიძლება რამდენიმე წელიწადში დაასრულო პროცესი, თუ საშინაო დავალებას სწორად ასრულებ და სწორად მოქმედებ. ამიტომ სწორედ ამ გზის დასაწყისს ველოდები ვარშავაში, რომელიც წინა სამიტიდან ვარშავამდე გაიარა მონტენეგრომ", - განაცხადა ხიდაშელმა.

თავდაცვის მინისტრმა ავსტრიასა და შვეიცარიაში დაგეგმილ ვიზიტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ ქვეყნებში დაგეგმილი საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში კარგი შესაძლებლობა ეძლევა იმისთვის, რომ უცხოელ კოლეგებთან ერთი მხრივ გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართოს, მეორე მხრივ კი ნიადაგი მოსინჯოს ყველა იმ თემასთან მიმართებაში, რომელიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.

"მომდევნო კვირების განმავლობაში რამდენიმე საერთაშორისო ფორუმი ტარდება. ასევე მოგეხსენებათ, ივნისის ბოლოს არის თავდაცვის მინისტერიალი. ვინაიდან შეუძლებელია 22 ივნისამდე ევროპის ყველა დედაქალაქი ჩამოიარო, გადავწყვიტეთ და აქცენტი გავაკეთეთ ისეთ ფორუმებზე, რომლებსაც რამდენიმე მინისტრი ესწრება. ეს ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ მინისტერიალამდე, როგორც საგარეო საქმეთა, ასევე თავდაცვის მინისტრებს შევხვდეთ სხვა ფორმატებში. ავსტრიაში 2-ჯერ მიწევს შემდეგი კვირის განმავლობაში ჩასვლა, ასევე შვეიცარიაშიც ფორუმია დაგეგმილი. მე მექნება შესაძლებლობა ჩემს ძალიან ბევრ კოლეგას შევხვდე. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, მათ გასაცნობად და, მეორეს მხრივ, ნიადაგის მოსასინჯად ყველა იმ თემასთან მიმართებაში, რაც ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია", - აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

გუბერნატორის ვიზიტი ქალაქ ლიონში — კახეთის კულტურას საფრანგეთში წარმოადგენენ

11 ივნისიდან კახეთის რეგიონი საფრანგეთში გამართულ გამოფენაზე საკუთარ კულტურულ შესაძლებლობებს წარმოაჩენს.

ქალაქ ლიონში დაგეგმილ ორდღიან გამოფენას, სადაც 70 ქვეყანა იქნება წარმოდგენილი, ადგილობრივი ხელისუფლების მიწვევით კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი დაესწრება. ღონისძიება ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია და ის ლიონის მერის მიერ არის დაფუძნებული.

კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი მიიჩნევს, რომ გამოფენა კახური პროდუქციის პოპულარიზაციას, კახეთის რეგიონის ცნობადობის ამაღლებას და რეგიონში ტურისტული ნაკადის ზრდას ხელს შეუწყობს.

„ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იქნება, ხუთი უწყება მიდის საქართველოდან. კულტურის სამინისტრო, ღვინის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტურიზმის დეპარტამენტი და კახეთის გუბერნია. სამინისტროები ღვინის, ჩურჩხელების, ფარდაგეულის, თიხის, თექის და ზოგადად კახური კულტურის წარმოჩენა-პოპულარიზაციაზე იზრუნებენ, ტურიზმის დეპარტამენტი კი ბროშურებს დაარიგებს. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ კახური კულტურა შორს გავიტანოთ," — განუცხადა „შირაქს"-ს ირაკლი შიოლაშვილმა.

კახეთის რამდენიმე ქალაქი იონის დეპარტამენტთან დამეგობრებულია, რაც ორმხრივ თანამშრომლობას გულისხმობს. აქვე განიხილება საკითხი იონის დეპარტამენტის მიერ გურჯაანში მდებარე კლინიკის მსგავსი სამედიცინო ცენტრის თელავში მშენებლობის შესახებ.

ასევე, პარიზში გაიმართება ვახშამი სენატორებთან და ბიზნესასოციაციებთან, სადაც კახეთის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები განიხილება.

ილია მარტყოფლიშვილი

საგალუტო ფონდი საქართველოს დოლარიზაციის შემცირებას და მცურავი კურსის შენარჩუნებას ურჩევს

მნიშვნელოვანი, რომ საქართველოში მოხდეს დოლარიზაციის დონის შემცირება და მცურავი გავლითი კურსის შენარჩუნება , - ამის შესახებ საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მუდმივმა წარმომადგენელმა აზიმ სადიკოვმა განაცხადა.

აზიმ სადიკოვმა სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიის რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვის პრეზენტაცია გამართა.

როგორც სადიკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, ლარის გაუფასურება ორი ძირითადი ფაქტორით იყო გამოწვეული - დოლარის გამყარება გლობალურად და გარე ფაქტორები სამეზობლოდან.

"საქართველოში ვალუტის გაუფასურება ძირითადად, გამოწვეული იყო ორი ფაქტორის გამო, პირველი ეს იყო დოლარის გამყარება გლობალურად და მეორე - გარე ფაქტორები სამეზობლოდან. რუსეთში, უკრანაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული მდგომარეობა, ეკონომიკური უკუსვლა, რეცესია და ასევე ამ ქვეყნების ვალუტების გაუფასურება ახდენდა გავლენას საქართველოს ფულად ერთეულზე და კურსის გაუარესებაზე. ეს იყო ორი ძირითადი ფაქტორი - დოლარის გამყარება და მეზობელი ქვეყნების ეკონომიკის შენელება და მათი კურსის ვარდნა", - განაცხადა სადიკოვმა.

მისივე თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში მცურავი გაცვლითი კურსის არსებობას მიესალმება.

"ქვეყანაში მივესალმებით მცურავი გაცვლითი კურსის არსებობას იმდენად, რამდენადაც ეს არის საშუალება, რაც შეიწოვს საგარეო შოკებს და მასში ხდება ამ შოკის აბსორბცია. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საშუალებით გატარდეს გარე შოკი და არ მოხდეს მისი ასახვა რეალურ ეკონომიკაზე, თუმცაღა ეს საკმაოდ რთული გამოწვევაა ისეთი მაღალი დოლარიზაციის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. თუ ქვეყანას დოლარიზაციის დონე მაღალი არ აქვს, ადამიანი უყურებს თავის შემოსავალს ადგილობრივ ვალუტაში და არც აინტერესებს, როგორია გაცვლითი კურსი. ეს მასზე არ მოქმედებს. მაგრამ, როდესაც ადამიანს ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში, შემოსავალი კი ადგილობრივ ვალუტაში აქვს, რა თქმა უნდა, ეს მტკივნეულად გადააქვს, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ ქვეყანაში მოხდეს დოლარიზაციის დონის შემცირება და მცურავი გავლითი კურსის შენარჩუნება. ეს გამოწვევა საკმაოდ წარმატებით იქნება განხორციელებული, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა - ისრაელი, პოლონეთი, თურქეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები. ამის წარმატებული შემთხვევები არსებობს და მიგვაჩნია, რომ ეს საშუალება, რომ მცურავი კურსით მოხდეს შოკის გატარება და არ მოხდეს მისი ასახვა რეალურ ეკონომიკაზე, ძალინ მნიშვნელოვანია და ამითაა გამყარებული ჩვენი რეკომენდაცია", - განაცხადა სადიკოვმა.

პრეზენტაციას ეროვნული ბანკის, მთავრობის, ოპოზიციის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ექსპერტები დაესწრნენ.

პატრიარქმა ბოდბეში სასულიერო პირები დააჯილდოვა

საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქმა ილია მეორემ ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის მოლოცვის დროს ეპარქიაში მოღვაწე ორი სასულიერო პირი დააჯილდოვა. პატრიარქმა არქიმანდრიტი ლაზარე (გრძელიშვილი) გამშვენებული ჯვრით, ხოლო დეკანოზი თეიმურაზი (ჯანაშვილი) მიტრით დააჯილდოვა.

პატრიარქმა კახეთში ვიზიტის დროს ბოდბის ეპარქიის გარდა, კახეთის სხვა ქალაქები და იქ არსებული სიწმინდეებიც მოილოცა. ილია მეორე წინანდლის რეზიდენციაში ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა.

ენერგეტიკაში 300 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია ხორციელდება

ენერგეტიკაში 300 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია ხორციელდება, - აღნიშნულთან დაკავშირებით ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, "საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ნათია თურნავამ, "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" დირექტორმა დავით თვალაბეიშვილმა, შპს "გარდაბნის თბოელექტროსადგურის" დირექტორმა ლაშა მგელაძემ, "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ამბოკაძემ და კომპანია „Pegasus EastWest Ltd"-ს წარმომადგენელმა რაფი კამინერმა გარდაბნის კომბინირებული თბოელექტროსადგურის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ლარის კურსის დასტაბილურების მიზნით მთავრობამ თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა ობიექტების პრივატიზება გამოაცხადა. გარდაბნის კომბინირებული თბოელექტროსადგური გამოცხადებული საპრივატიზაციო ნუსხიდან პირველი ობიექტია, რომელზეც იმპლემენტაციის ხელშეკრულება ფორმდება.

უწყების ინფორმაციით, პროექტი საქართველოს საპარტნიორო ფონდმა და სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" ერთობლივად განახორციელეს შპს "გარდაბნის თბოელექტროსადგურის" მეშვეობით. პროექტის განხორციელებისთვის დაახლოებით, 230 მლნ აშშ დოლარია დახარჯული. თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 230 მგვტ-ს შეადგენს და მის მშენებლობას უმსხვილესი თურქული კომპანია - ÇALIK ENERJÇახორციელებს.

იმპლემენტაციის ხელშეკრულების თანახმად, "Pegasus EastWest Ltd" გარდაბნის თბოელექტროსადგურის მფლობელ კომპანიას - შპს "გარდაბნის თბოელექტროსადგურს" იძენს. ამ ეტაპზე ნასყიდობის შეთანხმებული ღირებულება 290 მლნ აშშ დოლარს წარმოადგენს. "მოხარულები ვართ, რომ დავასრულეთ ჩვენი პირველი ინსვესტიცია საქართველოში. ჩვენთვის დიდი პატივი იყო ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან და საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობა. ჩვენი დიდი გეგმები გაქვს საქართველოში. ჩვენ გვჯერა საქართველოსი, მისი ეკონომიკის და ყველაზე მეტად, გვჯერა ქართველი ხალხის. ჩვენ გვჯერა, რომ შემდეგი 2 ნლის განმავლობაში საქართველოში დიდი მიღწევები იქნება და მზად ვართ ინვესტიციების მომავალი ეტაპისთვის", - განაცხადა კომპანია „Pegasus EastWest Ltd"-ს წარმომადგენელმა რაფი კამინერმა.

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ახალი ინვესტიციები შემოდის. "ჩვენი დარგი არის ძალიან საინტერესო. ამ დარგში ზოგადად, მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება ხდება. დღევანდელი ხელმოწერა ნიშანია იმისა, რომ ენერგეტიკის დარგი უცხოელი ინვესტორებისთვის ძალიან მიმზიდველი და საინტერესოა. დღეს გავაფორმეთ ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს გარდაბნის თბოელექტროსადგურის გასხვისებას. ჩვენ ამაზე დიდი ხანია ვსაუბრობდით. ლარის კურსის დასტაბილურების მიზნით იყო გარკვეული ობიექტების პრივატიზება გამოცხადებული და ეს თბოელექტროსადგური, რომელიც სახელმწიფოს 230 მილიონი დაუჯდა, 290 მილიონად იქნა გაყიდული. მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, რომ ასეთი დიდი ინვესტიციის განხორციელება მოხდა", - განაცხადა კალაძემ.

„საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ნათია თურნავამ აღნიშნა, რომ გარდაბნის თბოელექტროსადგური საპარტნიორო ფონდისთვის და სრულიად საქართველოსთვის წარმატებული პროექტია. "სადგური სრულად აღჭურვილია და დაახლოებით, ერთ თვეში იქნება სისტემაში. ამჟამად მიმდინარეობს მისი ტესტირება. მოხარულები ვართ, რომ ჩვენი ერთი წლის დაძაბული სამუშაო წარმატებით დაგვირგვინდა. სერიოზული ინვესტიცია შემოვა და ამ სახსრებს სხვა ახალი პროექტებისთვის გამოვიყენებთ", - განაცხადა თურნავამ

„ცოცხალი წიგნები“ – ეს ჩვენ ვართ!

საქართველოში წიგნს ოდითგანვე აფასებდნენ. ამის სადემონსტაციოდ ის ფაქტიც გამოდგება, როცა ელიტარული ოჯახები თავიანთ ქალიშვილებს მზითევში ატანდნენ „ვეფხისტყაოსანს“, როგორც ძალიან ღირებულ ნივთს... დღეს მკითხველი წიგნსაც დაშორდა და მწერლებსაც. ამის მიზეზად ხშირად ასახელებენ მედიასაშუალებებსა-რასაც სთავაზობენ ისინი საზოგადოებას, სწორედ იმის შესახებ აქვს მოსახლეობას ინფორმაცია და, აქედან გამომდინარე, ინტერესიო... ამ „ბრალდებაში“ სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის, თუმცა, მხოლოდ ეს ფაქტი წიგნთან გაუცხოების არგუმენტად არ გამოდგება. უამრავი მიზეზი არსებობს, რის გამოც წიგნმა მკითხველი დაკარგა, მათ შორის სოციალური ფაქტორიც ფიგურირებს: ვისაც ფული აქვს, მას მაღალი მატერიები ნაკლებად სჭირდება, ხოლო მას, ვისაც მწერლობა უყვარს-ფული არ აქვს ახალი წიგნებისა თუ ლიტერატურული ჟურნალების შესაძენად... ალბათ ამისი დასტურია ის ფაქტი, რომ ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ დაიხურა, როგორც ჩანს, ის დღეს, როგორც პროდუქტი, ქართული ბაზრისთვის არარენტაბელური (არამომგებიანი) აღმოჩნდა...არადა ეს ის გამოცემა იყო, სადაც იბეჭდებოდა ახალი ლიტერატურული ნაწარმოებები და მკითხველი ახალ სახეებსაც ეცნობოდა. რას ვიზამთ, ესეც ქართული რეალობაა...



შეიძლება ამის საპირწონედ განვიხილოთ პროექტი, რომელიც კულტურის სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება და მკითხველთან მწერლების უშუალო შეხვედრას ითვალისწინებს.

პროექტი, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო გამოხატავს ზრუნვას მწერლების მიმართ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აპრილ-ოქტომბერში განახორციელებს პროექტს, სახელწოდებით „ცოცხალი წიგნები“, რომლის ფარგლებშიც თანამედროვე მწერლები საქართველოს ყველა რეგიონს მოივლიან და რამდენიმე დღის განმავლობაში შეხვედრებს გამართავენ მკითხველებთან. პროექტის იდეის ავტორები ამბობენ, რომ ამ გზით ისინი აპირებენ გაარღვიონ თბილისში მოქცეული კულტურული ჩაკეტილი წრე და ხმა რეგიონებს მიაწვდინონ.

14 აპრილიდან მოყოლებული, 10 ოქტომბრის ჩათვლით, 75 მწერალი საქართველოს ყველა რეგიონს მოივლის, გარდა თუშეთისა. ავტორები ამის მიზეზად თუშეთში ტრანსპორტირების პრობლემას ასახელებენ. ხუთხუთი მწერლისგან შემდგარი მობილური ჯგუფები ოთხი-ხუთი დღის მანძილზე შეხვდებიან მათი შემოქმედებით დაინტერესებულ მოსახლეობას, მოზარდებს. შეხვედრები გაიმართება საბიბლიოთეკო და სამუზეუმო სექტორთან, სკოლებში. ქეთევან დუმბაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ლიტერატურის დარგში, აი, ასე ახასიათებს პროექტის მთავარ არსსა და მწერლებისა და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის შეხვედრებს:

„ჩვენი სურვილია, რომ შევხვდეთ ყველას. ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სკოლები... არ ვიცი, შეიძლება ღია ცის ქვეშ, პარკში მოეწყოს ეს შეხვედრა. უცებ ხუთი პოეტი რომ დადგეს და დაიწყოს თავისი ლექსების კითხვა, არ შეიძლება, რომ იქ ადამიანები არ გაჩერდნენ. ჩვენ გვინდა ხალხში გასვლა, გლეხებთან გვინდა შეხვედრა. შეიძლება ავტობუსით მივდიოდეთ და ყანაში დავინახოთ, ათი კაცი მუშაობს, ჩამოვიდეთ ავტობუსიდან და ვუთხრათ, გამარჯობა, ჩვენ მწერლები ვართ და გვინდა წაგიკითხოთ ჩვენი ლექსები. ხომ აქვთ იმათაც იმის საშუალება, რომ ერთი საათით შეისვენონ და მოგვისმინონ“, - ამბობს ქეთევან დუმბაძე.

პროექტის შექმნის იდეა კი მას შემდეგ გაჩნდა, რაც გასული წლის 17 მარტს 100-მდე მწერალმა სოციალურად დაუცველი მწერლების დასახმარებლად პეტიციით მიმართა პარლამენტსა და კულტურის სამინისტროს. პეტიციის ერთ-ერთი ხელმომწერი იყო პროექტის იდეის ავტორი, პოეტი მარიამ წიკლაური. სწორედ ამ დღის შემდეგ დაიწყეს მარიამ წიკლაურმა და ქეთევან დუმბაძემ პროექტის შექმნაზე ფიქრი და, საბოლოოდ, მას „ცოცხალი წიგნები“ დაარქვეს. მწერლებს და მკითხველებს მონატრებული გვყავს ერთმანეთიო, მეუბნება მარიამი. სწორედ ეს გახდა ამოსავალი წერტილი პროექტის იდეისა, რომელიც, პარალელურად, პროექტში ჩართული მწერლებისათვის ერთჯერად ანაზღაურებასაც მოიაზრებს:

„ისინი მხოლოდ ვირტუალურად ან მხოლოდ სოციალური ქსელის დონეზე ხვდებიან მკითხველს. იქ, სადაც ცოცხალი ენა უნდა მოისმინოს მწერალმა, ცოცხალი ემოცია მიიღოს, იქ, სადაც ადამიანებიც ელოდებიან მწერალს, ასეთ შეხვედრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავად მწერლებისთვის. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ მოზარდებს შევხვდებით. მომავალ თაობას, მომავალ მკითხველებს დაველაპარაკებით“, - ამბობს მარიამ წიკლაური.

ხუთი მწერლისგან შემდგარი მობილური ჯგუფი ამჯერად კახეთს სტუმრობდა. ზაზა ბიბილაშვილი, ლადო კილასონია, ბესო ხვედელიძე, ვანო ჩხიკვაძე, ლელა კოდალაშვილი-ეს ის მწერლებია, რომელთაც დედოფლისწყაროელ მკითხველს 6 ივნისს საკუთარი ნაწარმოებები ცოცხლად წარუდგინეს.







ბესო ხვედელიძეს საკმაოდ კარგად იცნობს ქართული საზოგადოება, ის იბრძოდა აფხაზეთის ომშიც და მისთვის 90-იანელების ყველა ტკივილი და განცდა სისხლხორცეულია. დღეს ის ნეპალშია და მიწისძვრით დაზარალებულებს ეხმარება, თან წიგნებს წერს... აფხაზეთის ომს ეძღვნებოდა მოთხრობა, რომელიც მან დედოფლისწყაროელებს წაუკითხა. „თაგვის გემო“ - ასე ჰქვია მოთხრობას, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა მკითხველში.

ზაზა ბიბილაშვილი პროფესიით ჟურნალისტია, ბავშვობიდან წერს ლექსებს. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში აქვეყნებდა როგორც ლექსებს, ასევე სტატიებს. „ცოცხალი წიგნები- ეს ჩვენ ვართ, მწერლები, რომლებიც ვხვდებით მკითხველს და ვცდილობთ, ის ვაკუუმი ამოვავსოთ, რომელიც დღეს შეიქმნა მწერლებსა და მკითხველს შორის. ეს პროექტი კონტაქტის აღდგენის საუკეთესო საშუალებაა“-ამბობს ის.

ლადო კილასონია პროზაიკოსია, ამის გარდა წარმატებული რაგბისტი, რომელიც დღეს ახალგაზრდა სპორტსმენებს ავარჯიშებს. მის მიერ წაკითხულმა მოთხრობამ დამსწრე საზოგადოების აპლოდისმენტები დაიმსახურა, რადგან ის ბავშვობის წლებს შეეხებოდა და ბებია-შვილიშვილის განსაკუთრებულ ურთიერთობაზე მოგვითხრობდა. „ეს ამბავი საკმაოდ გვიან დავწერე, რადგან ბებია ჩემთვის ძალიან წმინდა იყო. ყველაზე მეტად კი იმაზე საუბარს და წერას უფრთხი, რაც შენთვის განსაკუთრებით ძვირფასია“-აღნიშნა ლადომ.

ლელა კოდალაშვილი თანამედროვე ლიტერატურაში გამორჩეული სახეა, თავისი ნიჭიერებით და წერის თამამი სტილით. ამიტომ ის თავისი ნაწარმოების კითხვისას რამდენიმე პიკანტურ დეტალს „გადაახტა“, რათა მოზარდი თაობა, და არა მარტო ისინი, ერთგვარი უხერხულობისგან ეხსნა...

ვანო ჩხიკვაძის სახელი კარგადაა ცნობილი საშუალო ასაკის ხალხისთვის. პოეტს განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება აქვს დედოფლისწყაროს მიმართ. „წლების წინ, როცა გაზეთში ვმუშაობდი, სწორედ დედოფლისწყაროში გამომგზავნეს ნარკვევის გასაკეთებლად. მაშინ გავიცანი ბევრი ის ადამიანი, რომლებთანაც დღემდე ვმეგობრობ“-აღნიშნა ვანო ჩხიკვაძემ და საკუთარი პოეზია შესთავაზა მსმენელს.

როგორც მარიამ წიკლაური ამბობს, პროექტის კიდევ ერთი მიზანია მწერლებსა და პოეტებთან ერთად სხვადასხვა გამომცემლობის წარმომადგენელთა ვიზიტი რეგიონებში, სადაც ისინი საკუთარ პროდუქციას შესთავაზებენ იმ ადამიანებს, ვისაც ხელი არ მიუწვდება წიგნის მაღაზიებამდე.

„სამინისტრომ მიმართა თხოვნით გამომცემლობებს, რომ მათაც მიიღონ მონაწილეობა ამ პროექტში, წამოვიდნენ ჩვენთან ერთად, წარმოადგინონ თავიანთი წიგნები შედარებით ნაკლები ფასით და, როგორც იტყვიან, რეგიონებში სახლის კარამდე მიუტანონ წიგნები იმ ადამიანებს, ვინც წიგნების მაღაზიამდე თავად ვერ მიდის“, - ამბობს მარიამ წიკლაური.

კიდევ ერთი დავალება, რის შესრულებასაც პროექტის ავტორები მწერლებს რეგიონებში მოგზაურობისას სთხოვენ, ეს არის დღიურის წარმოება. მოგვიანებით მწერლების დღიურები შეიკრიბება და წიგნად გამოიცემა. პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ბიუჯეტი 75 ათას ლარს შეადგენს. იდეის ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ პროექტი მომავალ წელსაც გაგრძელდება და მასში მონაწილეობას უკვე სხვა მწერლები მიიღებენ.

„25 მწერალმა უკვე მოიარა საქართველოს ნაწილი და ჩვენ ყველანი მივხვდით, რომ ეს პროექტი მუშაობს და ის კავშირი, რომელიც გაწყვეტილია მწერალსა და მკითხველს შორის, ნაწილობრივ აღდგენილია. წიგნი არ არსებობს მკითხველის გარეშე, ამიტომ ცოცხალ მწერლებთან შეხვედრას სხვა დატვირთვა აქვს. ბავშვები, რომლებიც ასეთ შეხვედრებში მონაწილეობენ, უშუალო კონტაქტის შემდეგ აუცილებლად ინტერესდებიან იმ ავტორთა ნაწარმოებებით, რომლებთანაც უკვე ჰქონდათ ცოცხალი შეხება“-ამბობს ქეთევან დუმბაძე.

ინგა შიოლაშვილი

„მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა“...

6 ივნისი, გამთენია, სასწავლო წლის დასასრულის ბოლო შაბათი, ულამაზესი და შთაბეჭდილებებით სავსე დღე, N1 საჯარო სკოლის მესამეკლასელები კლასის დამრიგებელ ქეთინო დავითაშვილთან ერთად სკოლის ჭიშკართან იკრიბებიან და მოუსვენრად ელიან გამგზავრებას ისტორიული გრემისა და ნეკრესისკენ, ყვარლის მთებისა და ტბებისკენ, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისკენ...წინ უამრავი სანახაობა ელით, რომელიც მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ და რომელსაც მათი გონება ამიერიდან ხშირად გადაამუშავებს... მიდიან იქ, სადაც ნაქალაქარი გრემის მიწას ისევ შემოუნახავს ხმალს შეჯახებული ხმლის წკრიალი და კვლავ იგრძნობა ლეგენდად ქცეული ერის გამძლეობის ნიჭი. ქვეყნებსაც ხომ ადამიანებივით საკუთარი ხვედრი აქვთ, ალბათ წინასწარ განგებისაგან განსაზღვრული. საქართველოსაც ოდითგანვე ასე ჰქონდა დაბედებული მტრის მუდმივი თარეში, ამიტომაც:

„თავმოძულებულს თათრის ბეგარით,
გაალმასებულს სპარსთა უღელით,
ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი,
სუფრასთან იჯდა ჯაჭვგაუხდელი“....

და თუ მაინც გადარჩა, თუ ისევ დგას ფეხზე, ორ ზღვას შუა თუ ისევ აღინიშნება მისი უსწორმასწორო სხეული, ეს მხოლოდ მათი ძალითა და შეწევნით, ვინც მის გადარჩენას უყოყმანოდ ანაცვალა ყოველივე პირადული და თვით სიცოცხლე. ჩვენი წინაპრები კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ ამირანს მიიჩნევდნენ თავისუფლების სიმბოლოდ, მამულს ერთნაირი თავგამეტებით ეწირებოდა პოეტი და გუთნისდედა, ბერი და ერისკაცი, მოხუცი და ახალგაზრდა....თითოეულ მათგანს კი ერთი ძალით სტკიოდა და ადარდებდა მრავალტანჯული, მრავალგვემული, მაინც მოუდრეკელი და დაუმორჩილებელი საქართველო...



“ორ ზღვას შუა ძველისძველად,
საოძარი იყო ლელო,
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო!“

„გრემი, ნაქალაქარი, 1466 წელს კახეთის პირველი მეფე გიორგის მიერ კახეთის სამეფოს დედაქალაქად გამოცხადებული, 1616 წელს კი შაჰ-აბასის მიერ დაქცეული. გრემი ორი საუკუნის მანძილზე კახეთის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად იყო ქცეული“- ამ სიტყვებს ადგილზე ექსკურსიამძღოლი მოგვითხრობს და პატარებიც ინტერესით უსმენენ, ზოგი რამ ესმით, ბევრი რამ შეიძლება ვერც აღიქვან,მაგრამ, მთავარია, სამშობლოს და საკუთარი კუთხის ისტორიული ღირსშესანიშნაობები ადგილზე მოინახულონ, ხელით შეეხონ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობების კერებს, გაითავისონ, შეიყვარონ

და სამომავლოდ მასზე ზრუნვისათვის, მის დასაცავად აქედანვე შეემზადონ....

ნეკრესი, ქართული ხუროთმოძღვრების ადრეული სამონასტრო ძეგლთა ერთობლიობა, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ქრისტიანულ ნაგებობას საქართველოში.

ბავშვებმა ამ დღით პირველად მოისმინეს ამ არტფაქტების შესახებ და აღფრთოვანდნენ მათი ხილვით.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში მესამეკლასელებმა ულამაზესი ღონისძიება წარმოგვიდგინეს -საგალობლები, ხალხური სიმღერები, პრეზენტაცია გრემისა და ნეკრესის შესახებ, გამოცანები, ლექსები:“ყვარლის მთებს,“ „ქართლის დედას“, „ბედნიერი ერი“, ცეკვები: ქართული, აჭარული, მთიულური და ბოლოს, ფსიქოლოგიური ტესტირება:ვინ უკეთ იცნობს დედიკოს?, რომელზეც ბავშვებმა საუკეთესო შედეგი აჩვენეს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა შესანიშნავად სცნობს დედას. სახლ-მუზეუმის ეზოში შემოსული დამთვარიელებლები ოვაციებს ვერ ფარავდნენ მოსწავლეების მიერ ულამაზესი ბაღის ფონზე წარმოდგენილ სანახაობაზე. მესამეკლასელებმა:გიორგი ალუღიშვილმა, გიორგი ვაირადიანმა, ილია და იოანე შიუკაშვილებმა,შუქია გიგაურმა, ნინო ნატროშვილმა,ლუკა ცისკარაულმა, ლუკა ჭუბაბრიამ, ნიკოლოზ ზირაქიშვილმა, კახი გონაშვილმა, თებრონია ლომსაძემ, გიორგი გველუკაშვილმა, მილენა კასიანოვამ, სიმონ მესხმა, ლალიანა უთრუთაშვილმა, ნატალი მეხრიშვილმა, ბარბარე ალუღიშვილმა, ვაჟა ზავრაშვილმა, ნატალი მაზანაშვილმა, ნანული იაჟიანმა, დათო ქავთარაძემ, ნიკოლოზ ლომაშვილმა, ლუკა ქადაგიძემ და ზურა დავითაძემ კახეთის ისტორიული ადგილები დაათვალიერეს, ამით გონებრივი შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიმდიდრეს, გაიმრავალფეროვნეს და მთელი ზაფხულით ერთმანეთს გამოემშვიდობნენ, მათ წინ კიდევ უამრავი სკოლისა თუ საოჯახო ექსკურსია ელით, კიდევ ბევრი ისტორიულ-კულტურულ-შემეცნებითი სანახაობა, გრძელი და საინტრესო ცხოვრება, ბრძოლითა და ია-ვარდით მოფენილი...

ელზა ხარაშვილი

ლოცვაც და ჯვარცმაც იყო სიმღერა

გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „მანდილი“ დალი ელისაშვილის ხელმძღვანელობით 2009 წელს ჩამოყალიბდა. მანამდე ქალბატონი დალი ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლს უკვალავდა გზას ქართული ხალხური სიმღერისაკენ. მათ სერიოზული წარმატებები ჰქონდათ. მერე გოგონათა ანსამბლისც შეიქმნა და არც გოგონები ჩამორჩნენ ვაჟებს, მალე მოიპოვეს მაყურებლის სიყვარული და 6 წლის მანძილზე მათ გარეშე არ ჩატარებულა რაიონის არცერთი ღონისძიება, ასევე წარმატებით გამოდიოდნენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ ფესტივალებზე. ამჟამად ანსამბლში 9 გოგონაა. აქვე ფუნქციონირებს მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც ქართული ხალხური სიმღერის ხელოვნებას 19 ბავშვი ეუფლება. ქალბატონი დალი ყოველწლიურად ატარებს

ანსამბლის საანგარიშო კონცერტს ფართო საზოგადოებისთვის. ასე იყო ამჯერადაც. სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში თავი მოიყარეს ფოლკლორის დამფასებლებმა. მათ წინაშე ანსამბლი „მანდილი“ შემდეგი შემადგენლობით წარსდგა: ქართული საგუნდო სიმღერის და საგალობლების ფესტივალის ლაურეატი დები-ანა, ლიკა და მარიამ ლოლაშვილები ანსამბლის დაარსების დღიდან ირიცხებიან. ისინი ქართული სიმღერის უბადლო შემსრულებლის, ანსამბლ „ხორნაბუჯის“ ყოფილი სოლისტის ბიჭიკო ლოლაშვილის შვილიშვილები არიან. მათი ნიჭის სწორად წარმართვას ხელი დედამ, ქალბატონმა ნინომაც შეუწყო. მათ ჩამოყალიბებაში, ქალბატონ დალისთან ერთად, პედაგოგ ნინო ნიკვაშვილს და ლოტბარ გიორგი ცერცვაძესაც მიუძღვით წვლილი. ანსამბლს ამშვენებენ დები ანასტასია და ლიზი ყოჩიაშვილები, რომლებსაც სიმღერის ნიჭი გენეტიკურად მოსდევთ. ანსამბლს ამშვენებდნენ: მალვინა ისმაილოვა, სალომე ოგბალიძე, თამთა ფეიქრიშვილი და თეონა ჯალიაშვილი.

გოგონებმა ამ დღეს ერთი წლის თავდაუზოგავი შრომის შედეგები შეაჯამეს.

- „მანდილის“ წევრები პატარა ქალბატონები, მომავალი დედები არიან. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ საანგარიშო კონცერტს ისინი „ნანების“ შესრულებით დაიწყებენ. წლების განმავლობაში მათ ბევრი „ნანა“ და „იავნანა“ შეისწავლეს, - თქვა კონცერტის წამყვანმა ცარო მარტიაშვილმა და ასპარეზი გოგონებს დაუთმო. სცენაზე აკვანი ირწევა და გოგონები ქართულ, კახურ, მეგრულ, მესხურ და აჭარულ „ნანას“ ზედმიწევნით ოსტატურად ასრულებენ. მას „მზე შინა“ ებმის, მერე კი ფოლკლორის ისეთი მარგალიტები სრულდება, როგორებიცაა: „იმერული ლაშქრული“, “ჩელა“ , „მარეული“, „გოგიასა, გოგიასა“, „არაგვისპირული ლაშქრული“, „ბინდისფერია სოფელი“ და სხვა.

ანსამბლს მოსამზადებელი ჯგუფის წევრებიც უერთდებიან და მრავალი უძველესი ხალხური სიმღერა სრულდება სწორედ პირვანდელი სახით, რაც დღეისათვის მოდაში შემოსული გარემიქსებებისა და ინტერპრეტაციებისაგან შორს დგას. ეს კი ქალბატონი დალის ფოლკლორის ღრმა ცოდნაზე მიგვანიშნებს.

ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შირაქს“ (ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბრიელაშვილი) და „მანდილელებს“ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. საიუბილეო თუ საანგარიშო კონცერტებზე ისინი ერთმანეთის რეპერტუარს ავსებენ და ამრავლეფეროვნებენ. ასე იყო ამჯერედაც. ანასტასია ყოჩიაშვილს მეწყვილეობას უწევდნენ თორნიკე ოზბეთელაშვილი და ანტონ ლომსაძე. მათ მხარს არ უგდებდა ლუკა ქისტაური. ცეკვა „ქართული“ შეასრულეს პატარა სოლისტებმა მარიამ ჯანყოშვილმა და ალეკო შიუკაშვილმა.

კონცერტის ბოლოს ანსამბლს დაემშვიდობნენ ნათია ლატარია, ქეთი ჩაფიაშვილი და ლიკა ლოლაშვილი, რომლებმაც საჯარო სკოლა მიმდინარე წელს დაამთავრეს. ახლა ისინი სტუდენტობისათვის ემზადებიან. წარმატებები ვუსურვოთ მათ. მაყურებელთა თხოვნით გოგონებმა, მასწავლებელთან ერთად, ექსპრომტად შეასრულეს „ორუდილა“ და მქუხარე აპლოდისმეტებიც დაიმსახურეს.

კონცერტს გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსხურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, გამგეობის და საკრებულოს სხვა თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდა. მან მადლობა გადაუხადა ანსამბლის ხელმძღვანელს დალი ელისაშვილს იმ თავდადებული საქმიანობისათვის, რასაც იგი ენევა ფოლკლორის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

– დღევანდელი დღით კმაყოფილი ვარ. კარგი საღამო გამოვიდა. მადლობა გოგონებს და მადლობა მათ მშობლებს, რომლებიც სწორ მიმართულებას აძლევენ შვილებს, მათში პატრიოტული სულის გასაღვიძებლად. ყველაფერი კარგია – ენების ცოდნა, სპორტი, ცეკვა, მაგრამ ფოლკლორის ცოდნას სულ სხვა ძარღვი აქვს. მით უმეტეს მაშინ, როცა მე ვარჩევ რეპერტუარს ნამდვილად ძველი ფოლკლორიდან. ჩვენთან ფსევდოფოლკლორს ადგილი არ აქვს, მათ შორის კი ისეთივე განსხვავებაა, როგორც მბრწყინავ ბიჟუტერიასა და ბაჯაღლო ოქროს შორის, – თქვა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა დალიმ.

მართლაც რომ, ქალბატონი დალი ნამდვილად საშვილიშვილო საქმეს აკეთებს, რისთვისაც ასგზის მადლობა მას.

- დალი ელისაშვილი ჩვენი რაიონის კულტურულ ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის განძია, რომლის აღმოჩენაშიც მე დიდი წვლილი მიმიძღვის, რაც ძალიან მეამაყება. კმაყოფილი ვარ, რომ კულტურულ ცხოვრებას რაიონში მეტი ყურადღება დაუთმო, რაც თამარ თამაზაშვილის დიდი დამსახურებაა. ამასწინათ, ქალბატონებთან თამართან და დალისთან , კონსერვატორიის ფოლკლორული განყოფილების პროფესორმა გიორგი კრავიაშვილმა მუსიკალური ჟურნალი და შესაბამისი დისკი გამომატანა, სადაც ბევრი საინტერესო სიმღერაა შეტანილი. იმედს გამოვთქვამ, რომ სამომავლოდ რეპერტუარი იმ სიმღერებითაც გამდიდრდება. ალბათ, ყველა მაყურებლის აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ძალიან ნასიამოვნები ვტოვებ დარბაზს,- თქვა ჩვენთან საუბარში ათეული წლების განმავლობაში კულტურის დარგის ღვაწლმოსილმა დამცველმა და პატრონმა ნელი გობეჯიშვილმა.

მე კი მთელი გულწრფელობით გეტყვით, რომ იმ დღეს კიდევ ერთხელ ვეზიარეთ ქართული ხალხური სიმღერის განუმეორებელ ხიბლს, კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება ძალიან ხმამაღლა და ყველას გასაგონად გავიმეოროთ:

„სიმღერა იყო ლხენაც და კვნესაც,
ლოცვაც და ჯვარცმაც იყო სიმღერა,
ისევ იმღერეთ, ოღონდ ქართულად
და ვარსკვლავეთი გაირინდება!“.

დიახ, იმღერეთ, იმღერეთ, მაგრამ პირველ რიგში ქართულად და... მერე რა ენაზეც გსურთ.

ნაირა გორაშვილი

სტუმრად სამრეკლოს საჯარო სკოლაში

4 ივნისის სოფელ სამრეკლოში ვიყავი სტუმრად. ჩემი მასპინძელი სამრეკლოს სკოლის დირექტორი ქალბატონი ნანა ჭიღიტაშვილი სამრეკლოს უზარმაზარი სკოლის ლამაზ ეზოში მიმიძღვება. ეზო სუფთადაა დაწიკწიკებული, ბალახი მოცელილია, კაკლების ჩრდილი მთელს ეზოს ფარავს, ხოლო, მის ქვეშ მდებარე ახალი სკამები თავისკენ მიხმობენ გრილში დასაჯდომად. მშვენიერი გარემოს ხილვით კიდევ უფრო უკეთეს ხასიათზე ვდგები, ბედნიერი ვარ იმით, რომ საჯარო სკოლები კი არ ინგრევა, როგორც ეს ჩემი სასკოლო ასაკის პერიოდში ხდებოდა, არამედ შენდება, ლამაზდება და მიმზიდველი ხდება. საკლასო ოთახები, მასწავლებელთა კაბინეტები გაჩახჩახებულია და კომფორტულადაა მოწყობილი, რომელიც ყველა საჭირო ინვენტარითაა აღჭურვილი. ეს ყველაფერი, ცხადია, პედაგოგების ხარისხიანი მუშაობის წინაპირობას ქმნის. – „ერთადერთი, რაც გვაკლია და არ გვაქვს, სკოლის გათბობაა, აცივდება თუ არა, ღუმელებით იმურება საკლასო ოთახები, პატარა ნიავზე ბოლი უკან ბრუნდება და ბავშვებს უჭირთ ასე გაკვეთილებზე ყოფნა. იმედი გავქვს, წელს გათბობის საკითხი მოგვიწესრიგდება, ვნახოთ რა იქნება,"–ამბობს ქალბატონი ნანა. დერეფანში ის პატარა ბავშვები შემომეგებნენ რომლებიც ამ დღეს

თავის პირველ მასწავლებელს ქალბატონ ია უსტიაშვილს ემშვიდობებოდნენ. სცენა მთლიანად მწვანე ფათალოში იყო გახვეული, რომელსაც აქა-იქ ქაღალდის უზარმაზარი პეპლები ესხდნენ, ხოლო სცენაზე მოთავსებულ სკამებზე წითელი ნაჭერი იყო გადაფენილი, რაზეც პატარა მოსწავლეები ჩამომსხდარიყვნენ. გოგონებიც და ბიჭებიც საგანგებოდ შეკერილ ჩოხა- ახალუხებში იყვნენ გამოწყობილი, რაც მონაწილე ბავშვებს და დამსწრე საზოგადოებას საზეიმო განწყობას უორმაგებდა.

მოსწავლეებმა თავისი სათქმელის მოყოლა პირველი კლასიდან დაიწყეს. შემდეგ, პედაგოგის მიერ ფურცელ-ფურცელ შემონახული ფოტოები და ჩანაწერები ეკრანზე სლაიდების საშუალებით აჩვენეს, რასაც მუსიკის ფონი თავისებურ ხიბლს მატებდა. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ამავე სკოლის მუსიკის პედაგოგი მაკა პაპუაშვილი. ეკრანზე ნაჩვენები იყო მეოთხე კლასელი მოსწავლეების მიერ განვლილი ოთხი წლის მოგონებები, რომელიც ერთმანეთზე ისე იყო აკინძული, როგორც მარგალიტები. სცენაზე მონაცვლეობით გაისმა ლექსი და გაჟღერდა სიმღერა. ერთმანეთს ცვლიან შავჩოხიანი ნიკა, აკაკი, გიორგი, ლუკა და საქართველოს ზეცას ეფიცებიან სამშობლოს სიყვარულს. ამ პატარა ბავშვების ნათქვამიდან ისეთი მუხტი მოდის, რომ მათ შემყურეს იმედი გეძლევა, რომ ეს ლომ-გული ქართველი ბიჭები მალე ვაჟკაცებად იქცევიან და ალბათ მთებს გადადგამენ საქართველოსთვის, რომელსაც დაკარგული აქვს ტერიტორიის ნაწილები. მოსწავლეების გმირული სულისკვეთება, გვახსენებდა, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ქართველები, რომლებსაც ისეთი ძლიერი სული გვაქვს, რომ ერთი ქართველის წადილი ოცი მტრის მახვილს დაუფრთხობს, მედგრად დაუხვდება და უკუაქცევს.

- „მადლობელი ვარ შენი ღმერთო! რომ დამბადე ქართველად და ქართულ ენაზე წერისა და საუბრის უნარი დამანათლე."- ამბობს ლუკა ხუნაშვილი.

- „მამულო, მწადია, შეგაშრე ცრემლებად, კელაპტრად აგენთო მინდა, დამღვარე შენს შვილთა სალოცავ ლექსებად, მაუფლე კეთილს და წმინდას!" - აცხადებს აკაკი ყოჩიაშვილი.

-„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას ულელი! ჩემო საყვარელო მამულო! ჩვენო წინაპართა გმირული სისხლით გაპოხიერებულო ქართულო მიწავ, გაგვითენე ნანატრი დილა!" - ამბობს ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილი. ვუყურებ ამ პატარა, მხრებში გაჭიმულ ბიჭებს და ვფიქრობ, მართლაც კარგი ვაჟკაცები გამოუზრდია ქალბატონ ია უსტიაშვილს, რომლებიც ისე მედიდურად დგანან სცენაზე და ისეთ სიტყვებს წარმოსთქვამენ, რომელი სიტყვებიც მთელი საქართველოს ისტორიას თვალწინ გვიფურცლავდა, მახსენდებოდა „დიდიოსტატის მარჯვენა", მეფეთა შორის პირველი დავით მეოთხე აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე და ცხრა ძმა ხერხეულიძე, მახსენდებოდა და ამ პატარა ბიჭების შემყურე, მჯეროდა, რომ საქართველო არასოდეს გადაშენდება, კიდევ გაიზრდებიან ცხრა ძმა ხერხეულიძეები, გიორგი, საბა, დავითი, ვახტაგი და სხვები.

ამ სიტყვების დამთავრებისთანავე სცენაზე გადმოხტა კრემისფერ ჩოხაში გამოწყობილი ლიკა ტოკლიკიშვილი, გოგონა, რომელსაც თვალს ვერ მოსწყეტდით და გვანცა ლეკაშვილთან ერთად ისეთი ხევსურული ჩამოუარა, რომ ძარღვებში სისხლი აუჩქროლდა მაყურებელს. ამას მოჰყვა მშვენიერი ქართული, მთიულური და მოხევური. ღონისძიებას „უცხოელი სტუმრებიც" შემოუერთდნენ. თავად ბავშვებმა ინდური სამოსი გადაიცვეს და ისე ოსტატურად შეასრულეს ინდური ცეკვა, რომ მათმა პლასტიკამ და საშემსულებლო მანერამ უნებურად შეიტყუა მაყურებელი ინდურ სამყაროში.

ყველაზე საინტერესო მომენტი ბოლოში გველოდა, ბავშვებმა სცენაზე ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" გააცოცხლეს. ზურიკელასთან, მის სკოლის დიპლომთან და და ოლღა ბებიასთან ერთად, ცალთავლა ილარიონის და ილიკოს ხუმრობების მოსმენით კიდევ ერთხელ ვისიამოვნეთ და ვიცინეთ. სცენას კვალავ სიმღერა, ცეკვა და ლექსები მოჰყვა, ჩვენს წინაშე ამაყად იდგნენ ლიკა ტოკლიკიშვილი, ნიკოლოზ, ნიკა და აკაკი ყოჩიაშვილები, გიორგი ჩიბუხაშვილი, მარიამ ჯეთერიშვილი, ლუკა ხუნაშვილი, ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილი, გიორგი ნაზღაიძე, შალვა ხუციშვილი, თამთა გონაშვილი და გვანცა ლეკაშვილი. ეს გახლავთ ის თაობა, რომელმაც ამ დღეებში სოფელ სამრეკლოს მეოთხე კლასი დაამთავრა და მჯერა ეს გახლავთ თაობა, რომელთა სახელები და გვარები მომავალში აუცილებლად გაიჟღერებს, როგორც საუკეთესო მამულიშვილებად ჩამოყალიბებული ადამიანები.

დასასრულს ქალბატონმა ია უსტიაშვილმა თავის აღზრდილებს სამახსოვრო სიგელები გადასცა, რომელშიც თავმოყრილი იყო ამ ბავშვების პირველი დღიდან დაწყებული, ბოლო ჩანაწერებით დასრულებული ყველა ნიუანსი. შემდეგ კი, სცენაზე მოიხმო ის ბავშვები, რომლებიც სექტემბრიდან სკოლის კარს პირველად შეაღებენ და უკვე მათთან ერთად განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას. თაობები იცვლებიან, ეს გახლავთ ცხოვრების კანონზობიერება. დრო მიდის და მას ვერაფერი, მათ შორის ვერც სიყმაწვილე, ვერ შეაკავებს. ასე გაირბინა ერთი პატარა თაობის ოთხმა წელმაც, ბავშვობამ, რომელიც აღარასოდეს დაბრუნდება.

ნათქვამია, „სწავლა ცოდნის თესლია, ცოდნა კი -ბედნიერებისაო." ყველა მშობელი და პედაგოგი ცდილობს თავისი შვილი, თუ მოწაფე ისე აღზარდოს, ღრმა ცოდნა და საფუძველი მისცეს, რომ ის ჭეშმარიტად გამოადგეს, როგორც თავის მშობლებს, ახლობლებს და გარშემომყოფებს, ასევე თავის მამულს და ქვეყანას. ამ ყველაფრიდან ყველა პატარა უნდა ხვდებოდეს, რომ სწორ და განათლებულ აღზრდაშია სწორედ ჭეშმარიტება და ჩვენი, ქართველობის გადარჩენის გზა. ყველა ბავშვმა უნდა გაითავისოს, რომ სწორედ მუყაით სწავლაში აღმოცენდება მისი მომავალი, უქნარა და უსწავლელი არავის არგია და არც არავის სჭირდება, პატარებო, ნასწავლი და განათლებული კი, წამალივით სჭირდება ქვეყანას და სანთლით საძებარია. ხომ გაგიგონიათ „ნასწავლი ადამიანი ვეფხვია, უსწავლელი კი ერთი უბრალო მძორიო". დაგილოცავთ პატარა მამულიშვილებო გზას, თქვენი კარგი ქალობა და კაცობა გაგვეგოს.

ლალი მეხრიშვილი

რევაზ მიშველაძე – 75

რუსთაველის თეატრში 10 ივნისს გაიმართა სახალხო მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურიატის რევაზ მიშველაძის საიუბილეო საღამო, რომელსაც უძღვებოდნენ ჩვენი თანამემამულე, უმშვენიერესი მაყვალა გონაშვილი და დიმიტრი ხვთისიაშვილი.

საიუბილეო საღამო გახსნა ბიჭუნათა ფოლკლორმა ანსამბლმა მრავალჟამიერით, რამინ მიქაბერიძის ხელმძღვანელობით.

მაყვალა გონაშვილმა სიტყვა გადასცა კულტურის მინისტრის მოადგილეს მანანა ბერიკაშვილს, რომელმაც აღნიშნა კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე ქალაქში არ იმყოფება, ეს მისია მე დამევალა გავაჟღერო კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილება, რეზო მიშველაძეს მიენიჭა ხელოვნების ქურუმის წოდება და გადასცა ბრილიანტისა და ოქროს თვლებზე დამზადებული სამკერდე ნიშანი და მოწმობა, აღსანიშნავია ის სასიამოვნო ფაქტი, რომ 26 მაისს რუსთაველის თეატრის წინ ხელოვნების ქურუმის წოდება მინიჭათ „საუკუნის ლეგენდის“ ნომინატებს მედეა ამირანაშვილს და ნანი ბრეგვაძეს. მაყვალა გონაშვილმა აღნიშნა, რომ მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა იუბილარს მოუმზადა დოკუმენტური ფილმი გიორგი კახაბრიშვილის რეჟისირობით. ფილმზე თავად მაყვალა გონაშვილი მუშაობდა. ეს ფილმი ასახავდა მწერლის ბავშობიდან დღევანდლამდე განვლილ გზას. რევაზ მიშველაძე დაიბადა 1940 წლის პირველ იანვარს ქალაქ ქუთაისში. ეპოქალურად მოაზროვნე პოეტს ვინ არ მოეფერა იმ საღამოზე. „ცისფერი ტრიო“, რამინ მიქაბერიძე, ენრიკო ჯანელიძე, საინტერესო სიტყვებით გამოვიდნენ ჯანსუღ ჩარკვიანი, სოსო სიგუა, ბაღათურ არაბული, პროფესორი ნოდარ ჭითანავა, მხატვარი ვაჟა ადამია, ვაჟა აზარაშვილი, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის მწერალთა შემოქმედებით კავშირის თავჯდომარე და სხვები.

ბატონ რეზო მიშველაძეს საიუბილეო თარიღი მწიგნობართა ასოციაციისა და გაზეთ „შირაქის“ სახელით პირადად მივულოცე და გაზეთ „შირაქთან“ ერთად ფასიანი საჩუქარი გადავეცი.

საღამო დასრულდა ახალგორის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერით „ჩაკრულო“. ხუთი წლის შემდეგ ამავე დარბაზში ვიკრიბებით და ერთად აღვნიშნავთ მწერლის 80 წლის იუბილეს, – აღნიშნა მაყვალა გონაშვილმა და მოწვეული სტუმრები ალა-ფურშეტზე მიგვიწვია. ეპოქალურად მოაზროვნე მწერალს ჯამთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებდა ყველა.

ნანა ჭიჭინაძე.

დედოფლისწყაროში ფეხბურთის განვითარებას გეგმავენ

ფეხბურთი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობაა, ის ნებისმიერი სქესისა და ასაკის მქონე ადამიანისთვის სასურველი და მიმზიდველი სპორტია. ამიტომაც ფეხბურთი ყველას სჭირდება!

დედოფლისწყაროში, შესაძლოა, მომავალი წლიდან სპორტული სკოლა გაიხსნას. შესაბამისი პროექტის პრეზენტაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა, განხილვას დედოფლისწყაროს ხელმძღვანელი პირები, სპორტის სფეროში მოღვაწე ადამიანები და ქომაგები ესწრებოდნენ.

იგეგმება ცალკე ა(ა)იპ-ის შექმნა, რომელიც მთლიანად ფეხბურთის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისა და ადგილობრივი სპორტული საზოგადოების წინაშე საფეხბურთო სკოლის დაარსების იდეით უეფას სამწვრთნელო ლიცენზიის მქონე მწვრთნელი ბექა არაბული წარსდგა. ის წარმოშობით დედოფლისწყაროდანაა და ამბობს, რომ ადგილზე ფეხბურთის განვითარებაზე გული ამიტომაც შესტკივა.

ბექა არაბულმა მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას საფეხბურთო სკოლის პროექტიც გააცნო. პროექტმა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე სპორტის ქომაგებისგან მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა.

პროექტის ავტორი ბექა არაბული გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, რომ მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის დადება შეუძლია.

„შესაძლოა დაისვას კითხვა - საერთოდ გვჭირდება თუ არა ფეხბურთი და უფრო უპრიანი ხომ არ იქნება, რომ ის თანხა, რაც დედოფლისწყაროში საფეხბურთო სკოლის დაარსებასა და ფეხბურთის აღორძინებას უნდა მოხმარდეს, სხვა პროექტებზე დაიხარჯოს? ამ კითხვას ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს - ფეხბურთი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობაა, ის ნებისმიერი სქესისა და ასაკის მქონე ადამიანისთვის სასურველი და მიმზიდველი სპორტია. ამიტომაც ფეხბურთი ყველას სჭირდება! დღევანდელმა პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა. მიხარია, რომ ადგილობრივი ხელისუფლებაც და ადგილობრივებიც ინტერესით უყურებენ ამ იდეას. ამიტომ, იმედი მაქვს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გულისყურით მოეკიდებიან. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ჩამოვაყალიბოთ საფეხბურთო სკოლა. ანუ, აქცენტს ავიღებთ მოზარდებზე. რადგან, თუ ჩვენ აქცენტს მოზრდილებზე გავაკეთებთ, შესაძლოა, წყალში გადაყრილი თანხა აღმოჩნდეს და ეს ცოდნა რაიონიდან გავიდეს. ამიტომ, გვინდა, მწვრთნელების გადამზადებაზე ვიმუშაოთ და ადგილზე გავზარდოთ თაობა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ამ მხრივ სასიკეთო ძვრები ნამდვილად იქნება. საკითხავი ისაა, როგორ განვვითარდებით და რა გზით წავალთ. მთავარია სწორი მენეჯმენტი და კვალიფიციური კადრები. “ - აღნიშნა ბექა არაბულმა.

„სპორტის არცერთ სახეობას ისე არ შეუძლია ახალგაზრდების სპორტული აქტივობის ზრდა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, როგორც ფეხბურთს, ამიტომაც მივესალმები წარმოდგენილ იდეას. სამწუხაროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტს არ გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, გაგვიჭირდება კვალიფიციური მწვრთნელების მოძიებაც, მაგრამ ეტაპობრივად ყველაფრის მოგვარება შესაძლებელია. პროექტს, რომელიც ბექა არაბულმა გაგვაცნო, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად მომავალშიც განვიხილავთ და ჩვენთვის ოპტიმალურ ვარიანტზე შევჯერდებით“ - განაცხადა დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა.

დედოფლისწყაროს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე აკაკი ნატროშვილი, რომელიც მანამდე ფეხბურთის მწვრთნელად მოღვაწეობდა, აღნიშნავს, რომ დედოფლისწყაროში ფეხბურთის განვითარების პოტენციალი არსებობს.

„არ მოველოდი, თუ დღეს ამხელა ენთუზიაზმით კიდევ ფიქრობენ ფეხბურთის განვითარებაზე. ნამდვილად საოცრად კარგად იყო პროექტი შედგენილი და კმაყოფილი დავრჩი ამ ახალგაზრდების მუშაობით. მიმაჩნია, რომ დედოფლისწყარომ ფეხბურთის განვითარებაში ფული ნამდვილად უნდა ჩადოს,“ — აღნიშნა აკაკი ნატროშვილმა.

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მიიჩნევს, რომ მომავალი წლიდან, შესაძლებელია ადგილობრივ ბიუჯეტში ფეხბურთისთვის თანხები გამოთავისუფლდეს. ჯანიაშვილი სპორტის ცენტრის მისამართით კითხვას სვამს, თუკი არსებობს სამი გუნდი და ასევე სამი დაფინანსებული მწვრთნელი, რატომ არ გვაქვს ფეხბურთში შესაბამისი შედეგები.

ჯანიაშვილი ამბობს, რომ ახალი ბიუჯეტის შედგენამდე პროექტი მაქსიმალურად უნდა დაიხვეწოს და ხარჯები კიდევ უფრო დაიზოგოს.

„ჩვენ მოვესწარით საფეხბურთო კლუბ „შირაქს“, რომელიც საკმაოდ წარმატებული იყო. შემდეგ უკვე, სამწუხაროდ, რამდენიმე თაობაში იყო წყვეტა. სახელმწიფოში არსებული პრობლემების კვალდაკვალ, სპორტის მხარდაჭერამ იკლო. უჭირდა სახელმწიფოს და ამიტომ არ იყო ფეხბურთიც. არადა, მოგეხსენებათ, რომ ფეხბურთი მასიური სოციალური პროექტია. თანამედროვე ხედვის ინტეგრაციას განვახორციელებთ დედოფლისწყაროში, ადგილობრივ ახალგაზრდებში მუდმივად იქნება სულისკვეთება, რომ ფეხბურთის განვითარება დედოფლისწყაროში დროულად და კომპეტენტურად მოხდეს,“ - აღნიშნავს დედოფლისწყაროს საფეხბურთო განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელი რატი ცისკარაული, რომელიც ამ კუთხით გააქტიურებას თავადაც გეგმავს.

შეხვედრაზე აღინიშნა ისიც, რომ დედოფლისწყაროში ადგილობრივი ფეხბურთის მწვრთნელებს ახლახან სამწვრთნელო ლიცენზია დაუქვეითეს და „სამოყვარულო“ კატეგორია დარჩათ, თუმცა მათთვის მიზეზები უცნობია.

ილია მარტყოფლიშვილი

რა სტანდარტები იცავს საქართველოს მოსახლეობას ხორცპროდუქტების იმპორტირებისას, რომ საშიში საკვები არ მიირთვას

გაყინული პროდუქტების ხარისხი მწარმოებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, რომლის კონტროლიც შეუძლებელია. ამიტომაც არ გვირჩევენ ექიმები გაყინულ ხორცს ჯანსაღი კვების დროს.

პროდუქტს აქვს შენახვის ვადა, შოკური მეთოდით გაყინულსაც კი. მაგალითად, გაყინული ბოსტნეული 24 თვეა ვარგისი, თევზისა და ხორცის ნახევარფაბრიკატები - 6 თვე. ამ ვადის გასვლის შემდეგ პროდუქტის გამოყენება რეკომენდებული არ არის. უმნიშვნელო გალღობის შემთხვევაშიც კი პროდუქტში გამრავლებას იწყებენ მასში დარჩენილი მიკროორგანიზმები.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა რეალიზატორები გაყინულ და შემდეგ გამლღვალ ხორცს ახალ ხორცად ასაღებენ.

ახალი ხორცისგან განსხვავებით, განაყინავი ხორცი სველია. თუ ქაღალდის ცხვირსახოცს ან ხელსახოცს დაადებთ, ის დასველდება. თუ დააკვირდებით, ხორცის ქვეშ მოვარდისფრო სითხის პატარა გუბურასაც აღმოაჩენთ - გამლღვალ ხორცს სითხე სულ გასდის. განაყინავი ხორცი ელასტიკური არ არის. მასზე თითის დაჭერით წარმოქმნილი ორმო დიდხანს არ ივსება.

საქართველოში რომ მხოლოდ ქართულ ხორცს არ მიირთმევენ, ეს არახალია. ქვეყანაში ხორცპროდუქტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გაყინული შემოდის, შემდეგ აქ სპეციალურ მაცივრებში საწყობდება და რეალიზდება.

რა სტანდარტებს უნდა იცავდნენ ხორცპროდუქტების იმპორტირებისას, რათა ხალხმა ჯანსაღი პროდუქტი მიიღოს?

სურსათის ეროვნული საგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი, კახა სოხაძე რამდენიმე მნიშვნელოვან სტანდარტს გამოყოფს, რომელიც მრავალ წესს აერთიანებს. ამ სტანდარტებს შორის აღსანიშნავია, პირველ რიგში, ცხოველის შესწავლის აუცილებლობა და იმის დადგენა, რამდენად ვარგისი და სასარგებლო იქნება ამ ცხოველის ხორცი. მისივე თქმით, ხორცპროდუქტებთან მუშაობის დროს აუცილებლად უნდა იყოს დაცული ჰიგიენასთან დაკავშირებული სტანდარტები, ასევე შენახვის პირობები და ტემპერატურული რეჟიმები როგორც ტრანსპორტირების, ასევე დასაწყობების დროს.

იმპორტირების დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებას აქვს, ამის შესახებ "მომხმარებელი.გე"-ს წარმომადგენელი, ლია თოდუაც საუბრობს:

"მთავარი პრობლემა, რაც საქართველოს გაყინულ ხორცთან დაკავშირებით აქვს, ეს არის მისი შენახვა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის მინუს 28 გრადუსი, რომელზეც ღრმად გაიყინა და შემოვიდა, შენარჩუნდეს. არა თუ გალღობა, ამ ტემპერატურის მოძრაობაც არ შეიძლება. როგორც კი ტემპერატურის ოდნავ აწევა ხდება, გარდა იმისა, რომ ხარისხი ფუჭდება, მიკრობები მრავლდება. მაგალითად, ლისტერია",- აღნიშნავს ლია თოდუა.

შენახვის დროს ტემპერატურული რეჟიმის დარღვევის დროს ხორცპროდუქტები არათუ უსარგებლო, არამედ ჯანმრთელობისთვის საშიში ხდება.

მაცივრების უსაფრთხოებაზე, რომლებშც იმპორტირებული ხორცი ინახება, "ნიკორას" შვილობილი კომპანიის, შპს "მულტი ტრეიდის" შესყიდვების მენეჯერი, ნინა ბერიანიძე საუბრობს და აღნიშნავს, რომ მათი კომპანია იმპორტირებულ ხორცპროდუქტებს ლილოს მაცივრებში ასაწყობებს:

"ეს არის ყველაზე დაცული მაცივარი. ტემპერატურული რეჟიმი მუდმივად კონტროლდება და ჯერჯერობით შენახვასთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა",- აღნიშნავს ნინა ბერიანიძე. მისივე თქმით, "ნიკორას" ხორცპროდუქტები მსოფლიოს ისეთი ქვეყნებიდან ჩამოაქვს, როგორიც არის ბრაზილია, კანადა, ავსტრია, გერმანია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ჰოლანდია. შერჩევისას, პირველ რიგში ყურადღებას აქცევენ, რამდენად ავტორიტეტული და მოთხოვნადია მწარმოებელი ქარხანა მსოფლიოს მასშტაბით. არის თუ არა სერთიფიცირებული, აქვს თუ არა ხარისხის მართვის სისტემა, ლაბორატორიულად დამოწმებულია თუ არა მისი წარმოებული ნედლეულის ხარისხი და უვნებლობა.

ჩამოტანილ ხორცპროდუქტებს ვადა დაახლოებით, ერთი წელი აქვს, თუმცა მისივე თქმით, საწყობებში ჩამოსვლიდან ერთი თვის განმავლობაში ხორცი უკვე იხარჯება და ახალი პარტიის ჩამოტანაა საჭირო.

რაც შეეხება პროცედურას: კონტეინერით საქართველოში შემოსული ხორცპროდუქტები ჯერ ფოთში მოწმდება. თუ ხორცპროდუქტები რომელიმე სტანდრტს არ აკმაყოფილებს, ისინი განადგურებას ექვემდებარება. ხორცის ვარგისიანობის შემთხვევაში მისი დასაწყობება ხდება, საიდანაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში რეალიზდება.

როგორც ნინო ბერიანიძე აღნიშნავს, მათ კომპანიაში ნედლეულთან ერთად კონტროლდება ასევე წარმოების პროცესი ყველა ეტაპზე, რათა საბოლოო პროდუქტშიც დარწმუნებულები იყვნენ. თუმცა იმისათვის, რომ მომხმარებლის ინტერესები მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს, პერიოდულად მზა პროდუქტის შემოწმებაც ხდება.

ნიმუშების აღება ხდება მზა პროდუქციის აბსოლუტურად ყველა პარტიიდან, ვიდრე ის სარეალიზაციოდ ქსელში გავა. ამისათვის კომპანიაში სპეციალური მიკრობიოლოგიური ლაბორატორია მოქმედებს, რომელიც აღნიშნული პროცესის კონტროლს უზრუნველყოფს.

დაავადებები, რომელთაც თავად ამოიცნობთ

დაავადების ამოცნობა და სწორი დიაგნოსტირება დროული მკურნალობის აუცილებელი წინაპირობაა. დღეს ქრონიკული კოლიტისა და მწვავე ბრონქიტის შესახებ გიამბობთ, რომელთა ამოცნობასაც ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ თავად შეძლებთ:

1. საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა ქრონიკული კოლიტი.

ქრონიკული კოლიტი მსხვილი ნაწლავის ქრონიკული ანთებაა, გამომწვევი მიზეზის მიხედვით არჩევენ ინფექციურ, პარაზიტულ, ჰელმინთურ (ჭიები) და ტოქსიკურ კოლიტებს.

ინფექციური ეტიოლოგიის კოლიტებიდან გამოყოფენ დიზენტერიულ კოლიტს, რომელიც ქრონიკული კოლიტების 18%-ს შეადგენს.

პარაზიტულ კოლიტს იწვევს ამებიაზი, ბალანტიდიაზი, ლამბლიოზი (სამივე ნაწლავის პარაზიტებით გამოწვეული დაავადებაა);

ჰელმინთურ კოლიტს იწვევს ისეთი პარაზიტული ჭიები, როგორებიცაა: ასკარიდები, კუდმახვილა ჭიები (ენტერობიუსი) და სხვ.

ინტოქსიკაციური კოლიტი გამოწვეულია ტყვიით, დარიშხანით, სპილენძით, თუთიით, ვერცხლისწყლით, რკინით, სოკოთი მოწამვლით.

კოლიტის განვითარებას ხელს უწყობს კვება უხეში, ნახშირწყლებით მდიდარი პროდუქტებით, ცილების, ვიტამინების დეფიციტი, ცუდი ღეჭვა, საფაღარათო საშუალებებისა და ოყნის ხშირი ხმარება.

ქრონიკული კოლიტისთვის დამახასიათებელია გამწვავებისა და რემისიის (სიმშვიდის, უსიმპტომო პერიოდი) პერიოდები.

გამწვავების პერიოდი იწყება მუცლის არეში ტკივილით, რომელიც მსუბუქდება დეფეკაციის შემდეგ. ირღვევა კუჭის მოქმედება: ფაღარათი, ყაბზობა, მათი მონაცვლეობა; გამონაყოფში უხვადაა ლორწო, თავიდან იგი თხელია და ფაფისებური. ზოგჯერ სისხლიანი და ჩირქიანი. კუჭში გასვლის სურვილი ძლიერია და თან სდევს ტკივილი მუცელში და დეფეკაციის მტკივნეული სურვილი. ზოგ შემთხვევაში ავადმყოფებში შეინიშნება ისტერია, აგრესიული რეაქცია, დეპრესია, აკვიატებული აზრები, შიში და ნევროლოგიური რეაქციები.

ქრონიკულ კოლიტს ახასიათებს დეფეკაციის თავისებურებანი. ზოგს მისი სურვილი უჩნდება ფეხზე ადგომისთანავე, ზოგჯერ საჭმლის მიღებას უკავშირდება. ხშირია სიცივით გამოწვეული ფაღარათი, ემოციური ფაღარათობა (შიშისა და აღელვების გამო გაჩენილი რეფლექსური დეფეკაცია). ქრონიკული კოლიტის მიწყნარების პერიოდისთვისაც დამახასიათებელია დეფეკაციის შემდეგ დაკმაყოფილების გრძნობის უქონლობა.

ასეთი ჩივილების შემთხვევაში დროულად უნდა მიმართოთ გასტროენტეროლოგს და სწორი მკურნალობა ჩაიტაროთ, თორემ მდგომარეობა კიდევ უფრო გაგირთულდებათ.

2. მწვავე ბრონქიტი ბრონქების ლორწოვანი გარსის მწვავე ანთებაა. ის ზემო სასუნთქი გზების გავრცელებული დაავადებაა. დაავადების ხანგრძლივობა 1-3 კვირაა. დაავადების დასაწყისში პაციენტს აწუხებს ზოგადი სისუსტე, ტკივილი ან ჩახეხის შეგრძნება მკერდის ძვლის უკან, რაც ტრაქეის ანთების ნიშანია.

მწვავე ბრონქიტის ძირითადი სიმპტომია ხველა, დასაწყისში - მშრალი, გახანგრძლივებული, შემდგომში – ლორწოვანი ან ლორწოვან-ჩირქოვანი ნახველით. ნახველს შესაძლოა ჰქონდეს სისხლის მინარევი.

გახანგრძლივებულმა ხველამ შეიძლება გამოიწვიოს ნეკნთაშუა კუნთების, მუცლის ზედა ნაწილის კუნთებისა და ფერდების არეში ტკივილის შეგრძნება. ტემპერატურა შეიძლება დარჩეს ნორმალური, თუმცა ხშირად აღინიშნება მისი მატებაც.

მწვავე ბრონქიტის დროს აუცილებელია წოლითი რეჟიმი, ავადმყოფს ეკრძალება თამბაქოს მოწევა. რეკომენდებულია დიდი რაოდენობით სითხის (ჩაის, ტუტე-მინერალური წყლის, რძის, კომპოტების) მიღება, ინჰალაციები - სოდის 2%-იანი ხსნარით, კოტოშები. ინიშნება ამოსახველებელი და მუკოლიზური (ნახველის გამათხიერებელი) საშუალებები. მოსალოდნელი გართულებაა ფილტვების ანთება, ამიტომ მისი პროფილაქტიკის მიზნით ზოგიერთ შემთხვევაში ექიმის მიერ ანტიბიოტიკებიც ინიშნება.

ნაირა, ციხელო, გულნარა გორაშვილები, თამაზი ცაკაშვილი, ვასილ და ნათია მოსულიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მანანა და ავთანდილ ივანიძეებს მეუღლის და სიძის

მამუკა ბოსტოღანაშვილის

გარდაცვალების გამო.

მზია მეურმიშვილი, ვანო და დარინა მენთეშაშვილები, ვანო ბლიაძე ოჯახით იუწყებიან

ნიკოლოზ ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას.

უახლოესი მეზობლები: თინა ფავლენიშვილი, ესმა რობიტაშვილი, ვაჟა ბულაშვილი, ზურა დავითაშვილი, გია ჩუთლაშვილი, ვანო მენთეშაშვილი, ნოდარ ნიკოლაიშვილი, გურამ ყაზაროვი, შენგელი ნატროშვილი, ტარიელ ნატროშვილი, მზია ჯავახიშვილი, პავლე ხუციშვილი, მაყვალა ბეგიაშვილი იუწყებიან

ნიკოლოზ ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას.

ლეო ანთაძე – დედოფლისწყაროში

9 ივნისს, საქართველოს სახალხო არტისტი ლეო ანთაძე დედოფლისწყაროს სტუმრობდა. მას წელს, დაბადებიდან 80 და სასცენო მოღვაწეობიდან 60 წელი შეუსრულდა. მსახიობმა კულტურის სახლის სცენაზე მინი სპექტაკლები წარმოადგინა. წარმოდგენის დასრულების შემდეგ მაყურებელი სცენაზე ავიდა და სახალხო არტისტს საიუბილეო თარიღი პირადად მიულოცა. მილოცვას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებიც შეუერთდნენ.

საქართველოს ეროვნული ფილარმონიის ინიციატივით, წლის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, უამრავ ქალაქშია დაგეგმილი მსახიობის შემოქმედებითი შეხვედრა — სპექტაკლების ჩვენება.

როგორც ლეო ანთაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, თვლის, რომ მაყურებელი ძალიან დაშორდა თეატრს, სწორედ ამიტომ, გადაწყვიტა, თავად მოიაროს რეგიონები და თუ ხალხი აღარ დადის თეატრში, თეატრი მივიდეს ხალხთან.

„ამ სპექტაკლებში ლიტერატურის და წიგნის პროპაგანდაა და ვფიქრობ მნიშვნელოვანია, რადგან მაყურებელი ძალიან გადაერთო კომპიუტერზე. ვცდილობ, ჩემი წვლილი შევიტანო, იქნებ რაიმე მიზანს მივაღწიო, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა კიდევ მოკიდონ წიგნს ხელი. რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია ქართველ მაყურებელთან შეხვედრა და კარგია, რომ მომეცა შესაძლებლობა რეგიონებში ჩავიდე. კმაყოფილი ვარ, რადგან ხალხი მოდის და მისმენს“ — აღნიშნა ლეო ანთაძემ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „დედოფლისწყაროელები და ზოგადად რეგიონების მაცხოვრებლები, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას ამ დონის სახალხო არტისტების წარმოდგენებს დავესწროთ. მითუმეტეს, რომ დიდი კორიფეები ყოველწლიურად გვაკლდებიან. ამიტომ, ბედნიერი ვარ, რომ დღეს დედოფლისწყარო ბატონ ლეო ანთაძეს მასპინძლობს. მრავლისმომცემია მათთან გატარებული ყოველი წუთი. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ლეო ანთაძეს და პროექტის ავტორებს. სასურველია, ასეთი შეხვედრები ხშირად იმართებოდეს და დიდი მსახიობები რეგიონებსაც ხშირად სტუმრობდნენ. ცხადია, ამაში ჩვენც ხელს შევუწყობთ“.

„ძალიან ემოციური დღე იყო და მოხარული ვარ, რომ ამ დონის სახალხო არტისტს ვუმასპინძლეთ. ეს არის ადამიანი ლეგენდა, რომელიც 60 წელია, სცენაზე დგას. ყველასთვის საყვარელი მსახიობია და ჩვენთვის პატივია მისი სტუმრობა დედოფლისწყაროში და მასთან ერთად უმშვენიერესი საღამოს გატარება,“ - აღნიშნა **კულტურის ცენტრის უფროსმა** ნონა ჯიბლაშვილმა.

ლეო ანთაძემ დედოფლისწყაროდან სპექტაკლებით „ქვიშხური ესკიზები“ და „ბახტრიონი“ სიღნაღის თეატრში გადაინაცვლა.

ილია მარტყოფლიშვილი

რუსული მღვდელმსახურება – 10 წლის შემდეგ

ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპისკოპოსის მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში 10 წლიანი პაუზის შემდეგ ღვთისმსახურება რუსულ ენაზე შესრულდა.

ღვთისმსახურების რუსულ ენაზე შესასრულებლად დედოფლისწყაროს თბილისის, ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის მოძღვარი ალექსანდრე და მგალობლები ეწვივნენ.

„ჯერ კიდევ დიაკვანი ვიყავი, როდესაც აქ ვმსახურობდი და მახსოვს, მაშინ აქ მსახურება რუსულ ენაზე მიდიოდა. ძალიან ბევრი რუსულენოვანი მრევლი იყო, შესაძლოა, ბევრ თქვენგანს ვახსოვარ კიდეც. ჩემი და ჩემი მეგობრების მხრიდან დღევანდელი დღე არის მადლიერების გამოხატვა იმათ მიმართ, ვინც საკმაოდ რთულ წლებში შემოინახა უფლის სიტყვა ამ მხარეში და ერთგულად მსახურობდა. დიდი ხანია ცხოვრობთ ამ მხარეში, მსახურებებზეც დადიხართ, ძალიან კარგად გესმით ქართული ენა, მაგრამ გვინდოდა, რომ თქვენს მშობლიურ ენაზე მოგესმინათ ღვთისმსახურება და შესანიშნავი გალობა,“ — აღნიშნა მეუფე დიმიტრიმ.

როგორც ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა პეტრე ხუმარაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ეკლესიაში 2012 წელს ხანძარი გაჩნდა, თუმცა სიწმინდეების დიდი ნაწილი გადარჩა. შენობის აღდგენაც მალე მოხერხდა და მსახურება ინტენსიურად ტარდება.

დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი: „როდესაც საქართველოში მეთერთმეტე არმია შემოიჭრა, ჩვენი მხარე საკმაოდ დიდი ქალაქი იყო, ამიტომ დიდი დარტყმა მიიღო, მოქმედი ტაძრები დაარბიეს. ღვთის განგებით, რუსულენოვანმა მრევლმა ფარულად გამოიტანა სიწმინდეები და 40-50 წლის განმავლობაში მათ ოჯახებში იმალებოდა მათი სიცოცხლის რისკის ფასად. 50-იანი წლების მიწურულს და 60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლებამ მოსახლეობას უფლება მისცა, რომ ღვთისმსახურება ჩატარებულიყო. ამ პერიოდში რამდენიმე სასულიერო პირმა გლინის უდაბნოს ბერების მეშვეობით ეს სახლი მოსახლეობიდან გამოისყიდა და ეკლესია ამოქმედდა. იმ დღიდან ქიზიყში და ამ მხარეში ღვთის სიტყვის ქადაგება აღდგა. ხოლო 1960-იან წლებში როდესაც ღვთისმსახურება აღდგა, მრევლმა ეს სიწმინდეები ეკლესიაში დაბრუნა. სწორედ ამ ღვაწლის გამო, და იმის გამო, რომ მათ ამ მხარეში შემოინახეს ღვთის სიტყვა, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, გადაწყდა მადლიერების გამოსახატად ერთი დღით ღვთისმსახურება კვლავაც რუსულ ენაზე ჩატარებულიყო.

მოგეხსენებათ, 2012 წელს აქ ხანძარი გაჩნდა, როგორც ექსპერტიზამ დაადგინა, მიზეზი ძველი ელექტროსადენები იყო. საბედნიეროდ, ხანძრის ლიკვიდაცია დროულად მოხერხდა. მხოლოდ რამდენიმე ხატი დაზიანდა. ხანძრის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ამ ადგილმა თავისი იერსახე დაიბრუნა. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი შემოდგომა იყო, დროულად მოხდა განახლება და ღვთისმსახურება დაახლოებით 6 თვეში აღდგა“.

რუსულენოვანმა მრევლმა კმაყოფილება გამოხატა.

ილია მარტყოფლიშვილი

„დედოფლისწყაროს საათი“

ულოცავენ!

ზურაბ და ნატალი პოპიაშვილებს

გილოცავთ თქვენი დიდი ხნის ოცნების ასრულებას - ნანატრი ვაჟიშვილის დაბადებას.

გისურვებთ, ახალდაბადებული პაპის მოსახელე გიორგი ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაზრდილიყოს, თქვენ კი – ბედნიერი მშობლები.

ბედნიერ ბებიობას ვუსურვებთ ნაირა გორაშვილს, რომელსაც რამდენიმე წლის ნატვრა აუხდინეთ! და ის მწუხარება გაუქარვეთ, რომელიც მან გადაიტანა.

სიყვარულით „შირაქელები“

სვეტლანა შალვაშვილს! ნანა მერაბიშვილს!

ძვირფასო მეგობრებო, გილოცავთ „საუკეთესო დირექტორის“ ტიტულის და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის მონიჭებას. არც ადრე გაკლდათ დაფასება, რადგან ორივე „ღირსების ორდენის“ კავალერი ხართ, მაგრამ ხალხის გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ პირველობას მეტი ხიბლი აქვს.

ჩემო სვეტა, ათეული წლები მოვდივართ ერთად, ერთმანეთის ავიც ვიცით და კარგიც, მიხარია, რომ ძლიერი სულის ადამიანი ხარ და დიდ ტკივილებს ღირსეულად უმკლავდები. კვლავაც მხნეობას და ჯანმრთელობას გისურვებ.

ჩემო ნანა, შენ ჩემთვის პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგის და თბილი ადამიანის იმიჯი გაქვს. მადლიერი ვარ, ჩემს მაგდას თავისუფალი აზროვნება რომ ასწავლე, რომელიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე საგზლად გაჰყვა და არა მხოლოდ მას, მრავალ თაობას. იყავ ბედნიერი შენს ოჯახთან ერთად.

ჩემი ოჯახური მდგომარეობის გამო, ვერ შევძელი, მოვსულიყავ დაჯილდოების ცერემონიაზე და პირადად მომელოცა თქვენთვის ეს აღიარება. მიიღეთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა და სიყვარული.

პატივისცემით, ნაირა გორაშვილი.

მადლიერება

მასწავლებელი ის პიროვნებაა, რომელიც მუდამ ბავშვების სამსახურშია. უანგაროდ ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას,ცოდნის მიღებას, დაფრთიანებას.

მასწავლებლის შრომა განუსაზღვრელია, მაგრამ დაფასებული... მასწავლებლად უნდა დაიბადო...

მასწავლებლის ნამდვილი სახეა სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ლია ხატიაშვილი-თარაშვილი, რომელმაც თავისი თავდადებული შრომით ჩვენს შვილებს დიდი სიყვარული, ცოდნა და გამოცდილება შესძინა.

მიიღეთ ჩვენი უღრმესი პატივისცემა ლია მასწავლებელო. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს, რათა კვლავ ბევრი ღირსეული ბავშვი აღზარდოთ და ადამიანად ჩამოაყალიბოთ.

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის IV-ბ კლასის მშობლები.

ვარ მარტოხელა დედა, პირველი ჯგუფის ინვალიდი, გაჭირვებული. მინდა მადლობა გადავუხადო თქვენი გაზეთის საშუალებით რაიონის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, რადგან ჩემს მიმართ გულისხმიერება გამოიჩინა და გვერდში დამიდგა.

მაია ტუხაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 15.06		სამშაბათი 16.06		ოთხშაბათი 17.06		ხუთშაბათი 18.06		პარასკევი 19.06		შაბათი 20.06		კვირა 21.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
21 °	20 °	23 °	19 °	22 °	19 °	22 °	20 °	20 °	18 °	19 °	18 °	22 °	21 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K